№ 180

ოთხშაბათი, 23 აგვისტო 1895

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 70 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 55 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 180

ოთხშაბათი, 23 აგვისტო 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

## გამგეობა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოდგან დაიწყება გამოსაცდელი წარმოდგენები. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს დასში, კეთილ ინებოს და შემოიტანოს თხოვნა 20 აგ თვემდე თეატრის დარბაზ ში 12-დამ 1 საათამდე ყოველდღე.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

(წელი მეთოთხმეტე).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის დათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1895—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორიც და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და საოთამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათფიაქის ზორდაზირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ზ. მანუჩარიანცს, ტფილისს.

(24—1596—16).

**სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი** ამით აცხადებს, რომ ხსენებულს სასწავლებელში მოწაფეთა მიღება და ეგზამენები 27 აგვისტოს დაიწყება, სწავლა-კი —3-ს სექტემბერს.

## ახალი ამბავი

—

*** კვირას, 20 აგვისტოს, თავ. ზაქარია გულბაათის ძის ჭავჭავაძის იუბილეს დღესასწაული იყო. თავადმა მრავალი მილოცვა მიიღო რუსეთის ყოველ მხრიდამ. ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა ალმასის ნიშანი ალექსანდრე ნეველისა ორდენისათვის. სხვათა მილოცვათა შორის თავადმა დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოზის ძისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„თავადო ზაქარია გულბაათის ძევ!

„ფრიად სასიამოვნოა ჩემთვის, მოხუც კავკასიელისათვის, მოგონება თქვენის მამაცურის სამსახურისა და მოლოცვა ამ შესამჩნევ დღისა. ვისურვებ კიდევ დიდხანს იცოცხლოთ და იშრომოთ ალექსანდრეს კომიტეტში სასარგებლოდ დასახიჩრებულ მეომართა და მათ ობოლთა.

ვჰგიებ ყოველთვის გულით თქვენი მოყვარული

მიხეილი“.

*** პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალ. ცაგარელი, რომელიც რამოდენიმე დღით იყო ტფილისში ჩამოსული, უკვე დაბრუნდა პეტერბურგს.

*** ამ ჟამად ვერის მიდამოზედ მოგროვილია მანევრებისათვის 24 ათასი ჯარის-კაცი. არ იქნება ურიგო, რომ ვინმე მოხერხებულმა კაცმა მანევრების დღისათვის გააკეთოს, როგორც სხვა ქვეყნებში იციან, ამაღლებული პლატფორმა მაყურებელთათვის. ეს თვით გამკეთებელისათვის სასარგებლო იქნება და ხალხიც ისიამოვნებს მანევრების ცქერით.

*** კვირას, 20 მარიამობისთვეს, ახრისში (გორის მაზრაში) განთიადისას ვიღაც ბოროტ განმზრახველმა ცეცხლი წაუკიდა დიმიტრი ყანჩაველის ძნას. რვაასი ურემი ძნა ერთად იდგა. გადაიწვა სულ მთლად, როგორც ძნა ისე კალო-საბძელი. ალი ისე ძლიერი და მაღალი იყო, რომ შორის სოფლებშიაც-კი მოსჩანდა. ახლო-მახლო სოფლებიდამ ხალხი ზღვასავით მიასკდა, მაგრამ ვერაფერი წამალი ვერ დასდეს ამ აბურბურებულს ძნას და კალო-საბძელს.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ხელოსანთა საზოგადოების წესდება უკვე შემუშავდა და როგორც-კი გუბერნატორი დაბრუნდება ტფილისში, დასამტკიცებლად წარედგინებაო.

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს შეუტყვია, რომ განზრახვა აქვთ ამიერ კავკასიის თვითოეულ საბოქაულოში იყვნენ თითო ფერშალი, რომელთა მოვალეობაც იქნება მხოლოდ ყვავილის აცრა და ამ ავადმყოფობასთან ბრძოლა.

*** დ. ხიდისთავი (გურია დიდად შევიწროებულნი ვიყავით მდინარე გუბაზოულზე უხიდობისა გამო, ბევრი ადამიანი შეუწირავს ამ მოუსვენარს წყალს ბევრჯელ გავაკეთეთ მასზედ ხიდი, მაგრამ მდინარემ არ დააყენა, რადგანაც ეს ხიდები ძლიერ სუსტად იყვნენ აშენებულნი.

ეხლა-კი გვეღირსა და კაი მაგარი ხიდი ავაშენეთ ბ-ნი სიო ბერიძის მეთაურობით. ამ პატიოსანმა კაცმა შეაგროვა შემოწირულება, არ დაიზოგა თავისი შრომაც და აგვიშენა მდინარე გუბაზოულზე ხიდი საშვილიშვილოდ

*** დაბა ცხინვალი: მდგომარე თვის 18 გახსნეს და აკურთხეს ახალს ბინაზედ გადატანილი აქაური სახალხო სამკითხველო, რომელიც რამდენიმე წელიწადია, რაც არსებობდა, მაგრამ რიგიანად ვერ მოიკიდა ფეხი და ვერ მოიზიდა მკითხველი დღევანდლამდის. იმედია, ახალი გამგე ამ ბიბლიოთეკისა უფრო მეტის ყურადღებით მოეპყრობა და საქმეს რიგიანად დააყენებს. კურთხევის დროს ხალხი ბლომად დაესწრო. დაესწრო აგრეთვე ტფილისიდგან მოსული ფოტოგრაფი ა. როინაშვილი, რომელმაც შესწირა სამკითხველოს ოც-და-თხუთმეტ მანეთამდის ღირებული წიგნები. წიგნთა შორის იყო მშვენივრად დასურათებული და ლამაზ ყდაში ჩასმული დიდი „ვეფხის ტყაოსანი“ და აგრეთვე მშვენივრადვე დასურათებული ყდიანი „საქართველოს სამოთხე“ საბინინისა.

—◆◆—

# ფელეტონი

—

### პატიოსნება

კომედია ოთხ მოქმედებად გ. ზუდერმანისა.

(შემდეგი*)

მესამე მოქმედება.

მოწყობილება პირველ მოქმედებისა.

სტოლზედ ლამპარი ანთია. სცენის სიღრმეში, მარცხნივ, მომზადებულია საწოლი, რომელიც, როგორცა სჩანს, ხელ-უხლებელია. საწოლის გვერდით ჩემოდანი დევს. რობერტი სტოლთანა ჰზის თავ-ჩაქინდრული.

I

რობერტი და ხეინეკე-დედა

(ხილაბანდიანი შემოდის მატულის იუბკით).

დედა. დილა მშვიდობისა, შვილო! (რობერტი ხმას არა სცემს) ღმერთო, ეს რა ამბავია, არც-კი დაწოლილა? (ცრემლების წმენდით მიუახლოვდება).

რობერტი. (უკვირილით წამოხტება) რა იყო?!. რა გინდა?!.

დედა. ღმერთო, როგორ მიყვირის! გაკანკალებს, გცივა მგონი? ყავას არ დალევ? (რობერტი უარს ეუბნება) შენის მოხუცის დედისაგან აიღე, შვილო, მაგალითი. რაც უნდა მწუხარება გადგეს, ძილი მაინც საჭიროა, ძილი ღონესა ჰმატებს ადამიანს. (ლამპარს ჩააქრობს).

რობერტი. დედაჩემო, დედაჩემო! ეგ რა უბედურება მომახვიეთ თავს!

დედა. (ტირის) ჩვენი ბრალი არ არის, შვილო...

რობერტი. ჩვენი ბრალი არ არისო?!. ოჰ, დედაჩემო...

დედა. მე პატიოსნად აღვზარდე, შვილო! ცუდი საქციელი ჩვენში არავისაგან უნახავს. სასწავლებელში მივაბარე, ახალი კაბა ჩავაცვი... იაფად შემხვდა და ვუყიდე.. ჯიბეში ჩემი ჯვარწერის ცხვირსახოცი ჩავუდე... ისე მიხაროდა იმისი სასწავლებელში სიარული, ისე მიხაროდა...

რობერტი. როგორ მიეცი ნება, რომ მაგ ვაჟბატონს გასცნობოდა.

დედა. იქნება საქმე ჯერ კიდევ ისე არ იყოს წამხდარი...

რობერტი. სხვა ამაზედ უკეთესი საბუთი რაღა გინდა?.. განა თითონვე არ აღიარა ყოველივე უსირცხვილო გულ-ახდილობით?!. განა ან თვით ალმა იყო უარს?.. ეს კიდევ არაფერი, გუშინ საღამოს მე თითონ ვიყავი მიხალსკისთან. შენს მშვენიერს ქალიშვილს ავგუსტას იმათთვის ფარული ბინა გაუჩენია... ფულს აძლევდნენ ალბად ჯილდოდ... ხა, ხა, ხა! ის საზიზღარი გუშინ ჩემს ხელში იყო... ოჰ, რომ შემეძლოს როგორმე ამ ჩემის გულის დაწყნარება და დამშვიდება!

დედა. შვილო, რობერტ!..

რობერტი. ხმა! სიტყვა მომცა, დაგაკმაყოფილებო. ესეც კარგია. კარგადა ჰნახა, რომ არაფერს აღარ დავერიდებოდი. პირობა მაქვს ჩამორთმეული, რომ დღესვე უნდა დაგვაკმაყოფილოს მეცა და თქვენც. გონებაში მაგ უბედურის ქალის ბედმა გამირბინა და ჯერ-ჯერობით აღარა ვუთხარი რა.

დედა. რას ვიფიქრებდი, თუ ეს საქმე ასე უბედურად დაბოლოვდებოდა.

რობერტი. უნდა გეფიქრა... არა, როდესაც ღამე მოაცილებდა ხოლმე, რატომ არაფერს ამბობდი.

დედა. რა უნდა მეთქვა, როდესაც იმ დროს მეძინა. იმათ საკუთარი გასაღებიცა ჰქონდათ კარებისა.

რობერტი. მერე როგორ ვერ იყავი მიმხვდარი, რომ თუ ერთად ბრუნდებოდნენ, მაშასადამე, სადმე ქალაქში უნდა შეჰხვედროდნენ ერთმანეთს?

დედა. ეგ-კი ვიფიქრე, ალბად რომ ერთად დასეირნობენ-მეთქი...

რობერტი. რა სთქვი?..

დედა. ისე რაღა, როგორც ახალგაზდა ქალები დასეირნობენ ხოლმე ყმაწვილ-კაცებთან.

რობერტი. დასეირნობენო? როგორ თუ დასეირნობენ?

დედა. სასტუმროებში დადიან, თუ ფული აქვთ—თეატრში, ზაფხულობით აქეთ-იქით ბაღებში, სადაც მუსიკა უკრავს...

რობერტი. მარტონი.

დედა. მარტონი? (უარის ნიშნად ენას ჩაამწკრიალებს) მწ, არა, ყმაწვილკაცებთან...

რობერტი. მე იმას გეკითხები, რომ უშმობლებოდ-მეთქი?!.

დედა. რასაკვირველია, უშმობლებოდ. მაშ, შენის აზრით, მე, ეს მოხუცებული, ძლივს დავბაჯბაჯებ, და იმ ახალგაზდებს უნდა ავდევნებიყავ?

რობერტი. ჰმ... მაშასადამე, როგორც გეტყობა, გცოდნია, რომ ისინი ყველგან ერთად დადიოდნენ?

დედა. არ ვიცოდი, მაგრამ აზრით-კი მიმხვდარი ვიყავ.

რობერტი. მაშ ალმასათვის არ გკითხავს?

დედა. რა უნდა მეკითხა? ტყუილი ლაპარაკი არ იქნებოდა!.. ყმაწვილი ქალი თითონვე უნდა გაუფრთხილდეს თავისს თავს.

რობერტი. მესმის, მესმის.

დედა. იმას-კი რა მაფიქრებინებდა, რომ... ღმერთო, როგორ გაკანკალებს. ეხლავე დავანთებ ბუხარს. (ბუხრისკენ წავა).

რობერტი. (თავისთვის) არავითარი ხსნა, არავითარი გზა არ არის... ყველგან სირცხვილია მხოლოდ, სირცხვილი, რომლის ლაქსაც საუკუნოდ ვერ გადირეცხავს ადამიანი.

დედა. (სამზარეულოსკენ გასძახის) კაცო, შეშა შემოიტანე. (ბუხრის წინ დაიჩოქებს და ნაცარს დაუწყებს ხვეტას).

რობერტი. მერე რომელ დაკმაყოფილების შესახებ ამბობდი? რაო, შევირთავო? ხა ხა-ხა! გულ-ახდით რომ ვსთქვათ... განა სასურველია ლა! მგონი მაინც დუელის მეტი არა დამრჩენია-რა. თუ მომკლა, კარგია, სირცხვილს ჩამოვირეცხ, მაგრამ ამათ რა ეშველებათ, ამ უბედურებს...

II

ისინივე და ხეინეკე-მამა.

(მკლავს ხალათისა და ფლოსტებშია, იღლიით შეშა შემოაქვს).

ხეინეკე-მამა. (ყრუდ) დილა მშვიდობისა.

რობერტი. დილა მშვიდობისა, მამავ.

ხეინეკე. (ბუტბუტებს) ჰო, ჰო...

დედა. რას ჰბუტბუტებ, კაცო! მომეხმარე, ცეცხლი ავანთო...

ხეინეკე. ჰო, ჰო, მესმის, მაშ ცეცხლი უნდა დავანთოთ. (ბუხრის წინ დაიჩოქებს).

რობერტი. (თავისთვის) მე რომ მოვკლა?! მართალია, ეს-კი დაკმაყოფილება იქნებოდა, მაგრამ ის არავინ იცის, ამათ რა მოუვიდოდათ... მეშინიან, ვაი თუ პატიოსნების შესახებ ლაპარაკის ღირსიც არ ვიყო. (შესძახებს) ოჰ, რა სულ მდაბალი ვარ, რა ჭუჭყიანი არსება!

ხეინეკე. გტკივა რამე, შვილო?

დედა. (ნელის ხმით) სულ ალმას გამოისობით არის აგრე. წუხელი არც კი სძინებია.

ხეინეკე. ჰო, ჰო, ალმა... იმის გამო პატიოსანს კაცს შეიძლება ჰაღარა გამოერიოს თმაში... მაინც ყოველთვის იმას ვამბობდი, რომ... მიულინგების ოჯახი უბედურებას რასმე დაგვმართებს-მეთქი.

დედა. ნუ სტირი, კაცო! (გადაეხვევიან ერთმანეთს).

რობერტი. (თავისთვის) მოდი და

*) იხ. „ივერია“, № 174—79.

# კორესპონდენცია.

—

**ს. მიქელ-გაბრიელი** (გურია), 14 აგვისტო. ჯერ ხშირმა წვიმებმა გაგვიორკეცეს სიმინდის მუშაობა, ახლა დატაროებული სიმინდი ბუნებამ სანახევროდ გაგვინადგურა; წელს, მგონი, „საყანულებსაც" ვერ გავასწორებთ, თორემ ჩვენს ოფლს ვინ ჩივა!

მრავალს გურიის სოფლებში უკვე შეიგნეს სწავლის მნიშვნელობა და ბევრს ალაგს მადლიანი პირების მეოხებით დააარსეს ორ-კლასიანი სასწავლებლები, სამკითხველოები, თითო-ოროლა სასოფლო ბანკები და სხ. ჩვენ-კი უზრუნველად შევყურებთ ჩვენს ვითომდა ორ-კლასიან სასწავლებელს, რომლის შენობა და სახურავი სიძველის გამო ჩამონგრევას ლამობს! სასოფლო ბანკი ხომ დიდს სარგებლობას მოგვიტანდა, მაგრამ არ იქნა და ვერ ველირსეთ 50%-ად ფულის გამსესხებელ ქველ-მომქმედთა კლანჭებიდგან განთავისუფლებას. როდის მოგვივლენს განგება ისეთს პირებს, რომელნიც აუხსნიან და ჩააგონებენ ხალხს ზემოხსენებულ დაწესებულებათა სიავკარგეს, იზრუნვებენ სკოლასთან სამკითხველოც დააარსონ, მალამოდ დაედებიან ჩვენს მრავალ-გვარს სატკივრებს და არა ისეთებს, რომელნიც სოფლის სამმართველოს «ბალკონიდან» ბრძანებლობის კილოთი გამოსძახიან ხალხსა: «ეს ასეო»?! როდის გამოჩნდება ჩვენთვის ერთი „მაჩხანელი", რომელიც დაგვიხსნის საწყლებს ზურგზედ მონავარდეებისაგან?

ვ. ზ—ძე.

—

**ს. პატარძეული.** ჩვენს სოფელში ერთს გლეხსა ჰკითხეს: პეტრე, შენ შვილებს რატომ სკოლაში არ აძლევ, კაცო, ხომ დრო გაუვათო? — არა, შენი ჭირიმე, უპასუხა პეტრემ, ისევ ის მირჩევნია უსკოლოდ დაიზარდნენ, თორემ აგე სოლომონის ბიჭებმა თუ ქალაქს ისწავლეს, იმიტომ კარგები გამოვიდნენო?!.

წარმოიდგინეთ, ბატონო, რა გული უნდა ჰქონდეს საწყალს გლეხს სკოლაზედ, როდესაც სკოლაში დაზრდილნი იმ გვარად იქცევიან, რომ ისეც ეჭვის თვალით მაყურებელ გლეხს სწავლაზედ გულს უცრუებენ?!.

ჩვენს სოფელში ერთი ფრიად გამოჩენილი ოჯახი იყო; მხოლოდ რაკი უფროსნი დაიხოცნენ, უმცროსთა შორის დიდი უსიამოვნება ასტყდა მამულების თაობაზედ. ჯერ საქმე არ გათავებულა და ისინი, რომელნიც თავიანთ თავს ინტელიგენციის წარმომადგენლად აღიარებენ და გლეხს ამპარტავნის თვალით უყურებენ, იმ ნაირად იქცევიან, რომ კაცს ცრემლებს მოჰგვრიან. გარდა იმისა, რომ ანადგურებენ მამულს, ანგრევენ ძალით მარანს, თუ ქოხს ვენახში, თუ ფარეხს ცხვრისას, ახლა კიდევ აჰყარეს კრამიტი იმ უშველებელს სახლს, რომელშიაც სცხოვრობს ოთხმოცის წლის მოხუცი ოჯახის დედა. ამ უბედურს ადამიანს ისეც დათვლილი აქვს დღეები, წინ ორი პარასკევი აღარც-კი უძევს და ახლა უნდათ წვიმა-წუმპეში ამოარჩონ! რას აკეთებს ადგილობრივი ადმინისტრაცია და არ აღუკრძალავს ამგვარს ნავარდობას? მამასახლისი შიშით ხმას ვერა სცემს: ქალაქ ჩავლენ და ნაჩალნიკთან მიჩივლებენო.

ამ დღეებში ჩვენის სოფლის ახალგაზდანი და სოფლის მოაგარაკე სტუმრებიც წარმოდგენის გამართვას აპირებდნენ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. ამოირჩიეს პიესა, გაინაწილეს როლები და წარმოსადგენი დღეც დანიშნეს. ამ დროს გაჩნდნენ სოფ. საგარეჯოდგან ვიღაც ინტელიგენტები: როგორ თუ თქვენ უცხონი (გაიგეთ, უცხონი განა რომელ ტომს ეკუთვნოდნენ?) ჩვენ სოფელში უჩვეულოდ წარმოდგენას ჰმართავთო! რის სასარგებლოდაც ჩვენ გვინდა, თუ იმის სასარგებლოდ ითამაშებთ, ხომ კარგი, თუ არა წარმოდგენის ნებას არ მოგცემთო. რაკი როლები შესწავლილი ჰქონდათ და ბილეთებიც გაყიდული იყო, ამიტომ დასთანხმდნენ მთელი შემოსავალი გარდაეცათ ერთის სტუდენტის სასარგებლოდ. ესეც კარგია, მაგრამ სტუმართათვის შეურაცხ-ყოფა არ უნდა მიეყენებინათ.

დასასრულ, ამის მეტი აღარა გვეთქმის-რა: „უფალო! აპატიე იმათ, რათა არა იცოდნენ რასა იქმოდენ".

ფისტა-ნისტი.

—

**ს. ალიბეგლო.** არასოდეს არ შევსწრებივარ ისეთს უხილობას საინგლოში, როგორც წრეულს. სრულიად არ მოიპოვება: ვაშლი, მსხალი, ატამი; არ იყო აგრეთვე ბალი, ალუბალი, ქლიავი, შინდი რა არის, ისიც-კი ძალიან ნაკლებად არის. თხილი და კაკალი თუმცა არის, მაგრამ ნაკლებად. კაკალი ბლომად იქნებოდა წრეულს, მაგრამ ხან ავმა დარებმა, ხან გვალვამ ისეთი გავლენა იქონია კაკალზედ, რომ გახმა და გაშავდა კაწახები ზედ კაკლის ხეზედვე. ვენახები კიდევ სრულიად განადგურდა, არსად არც ზაქათალის ოლქში, არც ნუხის მაზრაში სალი ვენახი არ მოიპოვება. პირველში ძალიან კარგები იყო, ხალხს უხაროდა— წრეულს კარგი მოსავალი გვექნება ღვინისაო; მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდათ ვენახის პატრონებს. ცოტაოდენად რომ დამსხვილდა მარცვალი, მტევნები ნახევრამდე წვერიდგან გახმა და გაფუჭდა, დანარჩენსაც შეეყარა ნაცარი და გაუჩნდა ვაზს მილდიუ და შემოახმა ზედ ფოთოლი. ამისა გამო ყურძნის მარცვალმა ვერ იხაზრდოვა, ვერ გამოიკვება, როგორც რიგი იყო და დარჩა წვრილი. კვლავ ფერისცვალებას მაჰრები ყოფილა და ყურძენიც კარგად დამწიფებული, წრეულს-კი ვერ ვიშოვნეთ არამც თუ მტევნები ყურძნისა, არამედ ყურძნის მარცვლებიც, რომ გვეკურთხებინა ეკკლესიაში. ალიბეგლოელები ყველანი ბოდიშს იხდიდნენ მოძღვრის წინაშე: „მამაო! რა ვქნათ, ყურძენი არ არის და ვერ მოვიტანეთ საკურთხებლადაო". მართლაც რომ საკვირველი წელიწადია. „ამას წინად ადამიანის ჭირი ხორველა იყო, ახლა ხილის ხორველა მოვიდა, გაეხუმრა მათ მღვდელი, და იქნება მერე ქურდებსა და უბრალო საქმეზედ მაფიცრებს გაუჩნდეთ ხორველაო". მაგრამ ისეთი მაზარალებელი მაინც ვერ იქნება ქურდების ხორველა, როგორიც არის ეს ოხერი ყურძნის ჭირი—ნაცარი და მილდიუ. შარშან და შარშან წინ მარიამობის მარხვაში ხალხი კრიკინის მაჰრებს აყენებდა. ერთმა შემოხიზნულმა ქიზიყელმა გლეხმა შარშან-წინ ერთი საპალნე კრიკინის ღვინო დააყენა, მაგრამ წრეულს ისიც გამხმარა ტყეებში. წარსულს წლებში ალიბეგლოდგან ს. კახისაკენ რომ ამივლია, მინახავს კრიკინა ყურძენი აკიდოებისავით ყოფილა დაკიდებული ხეებზედ, წრეულს-კი ერთს მარცვალს გაშავებულს ვერ ნახავთ. კრიკინა ზოგი გამხმარა, ზოგი გალურჯებულა, დასნეულებულა და გამაგრებულა. ასეა ვენახებში ყურძენიც. ხალხს არა აქვს იმედი იმის დაწურვისა, „მარცვალი ფეხით არ გაიჭყლიტება, იმას საქაჯავი უნდაო", ასე ხუმრობენ ერთმანეთში ალიბეგლოელები. ვისაც აქამდის 10—15 საპალნე ღვინო უდგებოდა, წრეულს ძალიან მოხარული იქნება, რომ ერთი საპალნე ღვინო დაუდგეს. არ დადგებაო, ვამბობ იმისთვის, რომ ყურძენი არ მოიწევა. ჯერ აქამდე საფერავშიაც არ არის მარცვალი თითო-ოროლა მაინც არის დამწიფებული. ასეთი მკვახე ყურძენი ამ დროს არასოდეს არ ყოფილა.

დღეს მე დავიარე ერთიანი ბეგლოელის ვენახი და გარწმუნებთ, რომ ერთი გათეთრებული მარცვალი ვერ ვნახე, და აბა როდის უნდა დამწიფდეს ეს ყურძენი და ხალხმა მოკრიფოს. წინა წლებში ინგილოები ვენახებს ჰკრეფდნენ ზოგნი ენკენისთვის 14-მდე, ზოგნი მერე, როცა ალავერდობიდგან დაბრუნდებოდნენ; წრეულს-კი იმედი აქვთ ყურძენი იწყებს დამწიფებას აგვისტოს უკანასკნელს რიცხვებში. „ამას ვინ ჩივის, ნეტავი დამწიფდეს მაინც არის, რომ ცოტაოდენი ღვინო დავაყენოთ და მკვდრები პირ ნათლად გავისტუმროთო", ამბობენ ალიბეგლოები. ღვინის მოსავალი რომ არ არის, ამისათვის ინგილოებს არ უხარიათ, რომ პურისა, ქერისა, ფეტვისა და ჩალთუკისა კარგი მოსავალია წრეულს. „ნეტავი პური ნაკლებად მოსულიყო და ღვინო-კი არ დაგვკლებოდაო". მართლაც რომ ინგილოებს აქვთ მიზეზი ინაღვლონ. ამათში არ შეიძლება მკვდარი დაასაფლავონ ულვინოთ. „თათარი ხომ არა ვარ, ულვინოთ დამმარხოს მღვდელმაო", ეხუმრებოდა გუშინ პეტრე გაბრიელას.

თრიმლი გაიყიდა ფუთი 1 მ. 40 კ., მაგრამ აქედგანაც ხალხი ცოტას გამორჩა. საერთოდ ზედი-ზედ რომ ვიანგარიშოთ ალიბეგლოელებმა, კაკლებმა, მეშაბაშელებმა და ქოთოქლოელებმა თითომ ათ-ათ მანეთზედ

---

გული ნუ დაემდუღრება ადამიანს!?.

ხეინეკე. მე არა ვსტირი... მე ვარ უფროსი ამ ოჯახისა... და ვიცი კიდეც, როგორც უნდა მოვიქცე. კოჭლი ვარ, მაგრამ მეც ჩემი პატიოსნება ვიცი, ნამუსიანი ქუდი მეცა მხურავს! დამაცადეთ! ის ჩემი პირშავი ქალი... მე ვაცნობებ იმას ჩემს თავს. (ცეცხლის საჩხრეკს იქნევს) დავწყევლი, შევაჩვენებ.

დედა. (ლოგინს შეასწორებს) კარგია, კმარა.

ხეინეკე. დაჩუმდი ერთი... ბევრი გესმის შენ პატიოსნებისა. (მკერდზედ დაიკრავს ხელს) აი, აქ არის, აქა, ჩემი პატიოსნება. ქუჩაში გავაგდებ მაგ ქალბატონს, დეე ეთრიოს ღამე წვიმასა და თოვლში.

რობერტი. გააგდებ, მამაჩემო, რომ უფრო უარესად გაუბედურდეს და სულ ერთიანად დაიღუპოს?

დედა. დაანებე თავი, დეე ირატ რატოს.

რობერტი. ჰნახე ერთი, სად არის. ვინ იცის შიშით თვალითაც ვეღარ დაგვენახვებია.

დედა. ეძინება.

რობერტი. ოო!

დედა. (კარებთან მივა) ალმა! (ჩამიჩუმი არ ისმის).

რობერტი. ღმერთო, ღმერთო! მარტოსათვის არ უნდა დაგენებებინათ თავი.

დედა. (კარებს გააღებს) აკი ვსთქვი, სძინავს.

რობერტი. მაგას ძილი შეუძლიან კიდევ?

დედა. ადგები თუ არა, შე საძაგელო, შენა!

ხეინეკე. (ცოლის უკანიდგან) ადექი, თორემ ჯოხით წამოგაყენებ.

რობერტი. მამაჩემო, დედავ, ვიდრე არ გამოსულა, ყური დამიგდეთ.. სასტიკად ნუ მოეკიდებით, თორემ შეიძლება გაბოროტდეს და...

დედა. ჭკვიანი ხარ, შვილო, შენს მოხუცს დედაზედ შორს გიჭრის ჭკუა, მაგრამ ეს მე შენზედ უკეთ მესმის. დეე გული დამედალოს, მაგრამ პატიმარსავით-კი მეყოლება. გულს ხელ-დაკრეფილს-კი არ შევინახავ, დეე კარტოფილი გაფცქვნას, ოთახები დაასუფთაოს, კიბე გარეცხოს...

რობერტი. ღამე რომ ფეხი დაჰკრას და გაიქცეს?

ხეინეკე. დაკეტილში გვეყოლება, გასაღებს-კი ჯიბეში ჩავიდებ... ვნახოთ როგორ გაიქცევა?

რობერტი. იფიქრეთ, ჯერ ხომ ისევ თითქმის ყმაწვილია! სხვები უფრო დამნაშავენი არიან. ღვიძლი და... თუ ვისმეს უნდა მოექცეთ სასტიკად, სწორედ ის მაჰანკალია ამისი ღირსი... იმედია, ამისი მოთხოვნა-კი შემიძლიან, რომ ერთი და ერთი გამოაცალოთ ხელიდგან ალმა იმ ქალბატონს და რომ ავგუსტაცა და იმისი პატივცემული ქმარიც, ორივე სახლიდგან დაითხოვოთ.

ხეინეკე. მართალს ამბობ. ერთი და ერთი უნდა მოვიშოროთ ის საძაგლები. მიხალსკიმ დიდი ხანია თავი მომაძულა. აი, ჰხედავ, დედაკაცო, რობერტი ინდოეთიდგან დაბრუნდა და ჩვენც გონზედ მოგვიყვანა! მე ხომ, მოხუცს, არაფერს გამიგონებთ ხოლმე, მე თქვენთვის არაფერი არა ვარ...

რობერტი. უკაცრავად-კი, მამაჩემო, მაგრამ აქ ლაპარაკი შენ შესახებ-კი არა გვაქვს.

ხეინეკე. სულ ერთია. ავგუსტა? ის მსუნაგი, ისა, ყველაფერს წაატანს ხოლმე ხელს, თუ სადმე რამ მოახელა.

დედა. (ხელსახოცით ცრემლებს იწმენდავს) რა ვქნა, ისიც ჩემი შვილია. მე ჩემი შვილები ერთ გვარად მიყვარს.

რობერტი. შენის სიყვარულის ღირსი რომ არ იყოს, დედაჩემო?

დედა. მით უმეტეს.

რობერტი. სსუ, ჩუმად... სს... ალმა მოდის.

### III

იგინივე და ალმა.

(თეთრს იუბკასა და კოფთაშია, თმები გაშლილი აქვს, გაუბედავად გამოდის თავისის ოთახიდგან და შიშით შეჰყურებს ხან ერთსა და ხან მეორეს).

ხეინეკე. ოჰო, ქალბატონი გამობრძანდა!

დედა. (ხელების მტვრევით) შვილო, შვილო, ეგ იმედი მქონდა შენგან, რომ აგეთი მადლობა გადამიხადე? განა არ გასწავლიდი, არ გარიგებდი? განა დედოფალსავით არ გაგზარდე? არა, ამას იქით-კი აგრე აღარ მოგექცევი, კმარა. რასა სდგეხარ! წადი, ცოცხი აიღე და დაგავე აქაურობა! (ალმა მხრების შემშუშვნით სამზარეულოში გადის).

ხეინეკე. (აღელვებული დადის ოთახის სიგრძე-სიგანეზედ) მე, შენი მოხუცი მამა, დიაღ, მე, იმას გეტყვი, რომ გშობე, გაგზარდე... მე... მე...

(ალმა გამოჩნდება კარებთან ცოცხითა და აქანდაზით).

რობერტი. რა მშვენიერია თვით ბიწიერების სხივით მოფენილიც-კი!..

დედა. ჰა, რაღასა სდგეხარ?..

ხეინეკე. (გაშვიადებულის კილოთი) ალმა, შვილო, აქ მოდი, მომიახლოვდი... კიდევ...

ალმა. თუ ღმერთი გწამს, შემიბრალე, ნუ მცემ.

ხეინეკე. ღმერთს მადლობა შესწირე, თუ მხოლოდ ცემით გადამირჩე. მე მოხუცი, პატიოსანი კაცი ვარ. აი, აქ არის ჩემი პატიოსნება, აქა... (გულზედ ხელს იკრავს). იცი რას გიზამ? დაგწყევლი, შეგაჩვენებ, გესმის? აბა, რას იტყვი?

ალმა. თუ ღმერთი გწამთ, დამანებეთ თავი.

ხეინეკე. ურჩობასაც მიწევ? არა, მე შენ გაჩვენებ, მე შენ...

დედა. კაცო, დაწყნარდი, ნუ უშლი უნდა იმუშაოს.

ხეინეკე. რაო? მაშ ნება არა მაქვს, ჩემი უმაქნისი შვილი დავწყევლო?..

რობერტ. ძვირფასო მშობელო... აგრე არ შეიძლება... ეს სიკეთე მიყავით და ერთს წუთს ორნივე მარტონი დაგვტოვეთ.

დედა. წავიდეთ, კაცო!

ხეინეკე. მაშ ნება არა მაქვს, ჩემი უმაქნისი შვილი...? დამაცადე, მე შენ... (დედა ეწევა და ორივენი მიდიან).

### IV

ალმა და რობერტი.

რობერტ. (თავისთვის) შევიტყობ, რაც არის ეხლა, და ისიც მეცოდინება, როგორც უნდა მოვიქცე. (ნაზის ხმით) აქ მომიახლოვდი, ალმა.

ალმა. დედამ ოთახების დაგვა მიბრძანა.

რობერტ. მოასწრობ. (ხელს დაუშვერს, მაგრამ ალმა გაექცევა). ნურაფრისა გეშინიან, არცა გცემ და არც შეგაჩვენებ. იცოდე, რომ დღეიდგან ერთგული მეგობარი გყავს, რომელიც დაგიცავს და დაგიფარავს.

ალმა. მეტად კეთილი ხარ, მეტად (ჩაიქვითინებს და რობერტის წინ მუხლებზედ დაეცემა).

რობერტ. ნუ, ნუ დაიჩოქებ აი, აქ დაჯექი, აგრე (თითონაც გვერდით მოუჯდება სავარძელში). ისე დაჯექი, რომ პირდაპირ თვალებში გიყურო. (უნდა თავი აუწიოს, მაგრამ ქალი თავს იმისს მიხლებში ჩაჰმალავს). გეტყობა, არ გინდა, შენი ნებაა, იჯექ და იტირე, არ გაგაგდებ. ჯერ ბევრი დღე და ღამე მოგინდება ტირილი, ვიდრე გაიგებ და მიხვდები, რაც დაგმართეს. მითხარ ერთი, თუ ღმერთი გრწამს, ნუ-თუ არა ჰგრძნობ,

მეტისა ვერ გაყიდა, რადგან ხალხი მოუცლელი იყო სხვა სამუშაოსაგან.

მღ. დიმ. ჯანაშვილი.

## აბხაზეთის ამბები.

გაზ. «ტფილისის ფურცლის» თანამშრომელს ერთი ფრიად საყურადღებო და იმავ დროს სამწუხარო ამბავი მოჰყავს გუშინდელს ნომერში. ამბავი შეეხება აბხაზებს. თანამშრომელს, როგორც იწერება, შემთხვევით გავლის დროს ერთს სოხუმიიოლქის პირად მდებარე დაბის სასტუმროს წინ, როდესაც თურმე კოკისპირულადასხამდა წვიმა, უნახავს ასე 30 კაცი აბხაზი სასტუმროს წინ უსასოდ მდგომარე, რომელთაც თავს ჩაფარი ედგათ თურმე და მალ-მალ სტუქსავდა, როდესაც-კი ერთი მათგანი, სხვებზედ მეტად მოხუცებული, სცდილობდა გაეგებინებინა, რომ ისინი დამნაშავენი არაში იყვნენ. ერთის საათის შემდეგაო, ამბობს კორესპონდენტი, სასტუმროდგან გამოვიდა თბილს პალტოში გახვეული კაკარდოსანი, რომელიც საშინლად მოღუშულიყო და დაეკითხა ჩაფარს რას ამბობენო. ჩაფარმა უპასუხა, რომ თავს მართლულობენ, ჩვენარ ვიცით, ხარები ვინ წაიყვანაო.—არა, ეგენი გადიხდიან ხარების ფასს,—გარდაწყვეტილად წარმოსთქვა კაკარდოსანმა და შებრუნდა ისევ ოთახში. კიდევ დიდხანს იდგნენ იმ საშინელ წვიმაში აბხაზები, მაგრამ მათი განთავისუფლება ფიქრადაც არავის არ მოსდიოდა. ბოლოს მეტად შეწუხებულთ განუცხადეს მთავრობას, ოღონდ გაგვიშვით და გადავიხდით ჯარიმასაო, მხოლოდ მაშინ წავიდნენ შინისკენ ეს საბრალონი ერთს. ვიღაც მემამულეს დაუკარგავს ულელი ხარი, რომელიც, როგორც ბოლოს ვითომ-და აღმოჩენილა, გაუტარებიათ ხსენებულ გლეხების სოფელზედ ტრწაზედ; ამიტომ გუდაუთის ბოქაულმა დააწერა მათ ჯარიმა 200 მან. და ასევე დააწერეს ყველა იმ სოფლებს, რომლებიც სუხუმსა და ტრწას შუა მდებარებენ. ამ რიგად ულელი ხარი ადგილობრივ მთავრობის მიერ დადებულ ფასით ღირს არა უმეტეს 40 მან. და დაკარგულ ხარებზედ, კი რამდენსამე ასს მანეთს ახდევინებენ სოფლებს, რომელთა დანაშაული არავისთვის არ არის ცნობილი. და ამგვარი ამბები სულ ხშირია აქა, —ამბობს კორესპონდენტი.

თუ სადამდის შეწუხებულნი არიან აბხაზნი ასეთის ჯარიმებით, ამას ნათლად დაანახვებს ყველას შემდეგი თხოვნა, რომელიც ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მიართვა აძუბჟინის საზოგადოებამ; აი რას იწერებიან, სხვათა შორის:

„წარსულ ომიანობის შემდეგ, ჩვენ აძუბჟინის საზოგადოების მცხოვრებლებმა მოპარულ ცხენებსა და საქონელზედ გადავიხადეთ 14 ათასი მან. ერთხელ სამუდამოდ მიღებულ აზრისა გამო, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ დამნაშავენი ყოველგვარს ქურდობაში, რომელიც-კი მოხდება ადგილობრივ მცხოვრებ—მოლდაველთა, ესტოელთა, სომეხთა და ბერძენთა შორის, რომელნიც იჯარით იღებენ აქ დიდს მამულებს, საჭიროა რომელსამე მემამულეს დაეკარგოს გადამკვდარებული ცხენი ან ხარი, რომელიც 10 მან. არა ღირს, და პატრონი დაკარგულისა გვიჩივის ჩვენ აძუბჟენელებს და გვახდევინებს მთავრობა 80-სა და 100 მანეთს. ამ ჟამად ადმინისტრაციამ 25 მაისამდე წარსადგენად ჯარიმად შეგვაწერა ფული 1610 მანეთი ადგილობრივ მცხოვრებთა სასარგებლოდ. მაგრამ ჩვენ რომ უკანასკნელი ძროხა, უკანასკნელი ქვაბიც-კი გავყიდოთ, მაშინაც ვერ გადავიხდით ამ ფულს. სიმართლისა, კანონისა და კაცობრიულ სამართლიანობის სახელით გთხოვთ და გემუდარებით, მიიღოთ ჩვენი თხოვნა. ჩვენ სრულიად ვიღუპებით. გაარჩიეთ, ვინ იპარავს ჩვენში, ვინ აფასებს დანაკარგს?

კანონიერად აწერენ ჯარიმას, თუ არა? ვინ არის მიზეზი ჩვენის დაღუპვისა“?..

## რუსეთის ცხოვრება.

—

„სავაჭრო და სამრეწველო გაზეთი“ ამბობს, რომ განსახილველად იმ პროექტისა, რომლითაც განზრახულია საშუალო სამეურნეო სწავლის გაძლიერება, მოწვეულ იქნება პირველ სექტემბრიდგან შვიდამდე კრება სამიწათ-მოქმედო სასწავლებელთა დირექტორებისა და მასწავლებლებისა და სამინისტროთა მოხელეებისა, ზოგიერთ მემამულეთა თანადასწრებით.

—

სამიწათ-მოქმედო სამინისტროს განუზრახავს აგრეთვე გააძლიეროს და გააფართოვოს პროგრამა დაბალ სამეურნეო სასწავლებლებისა. ამისთვის სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს დაარსება საგუბერნიო ინსპექციებისა და ადგილობრივ სამეურნეო სამოსწავლო საბჭოებისა.

## რუსული თეატრი პოლშაში.

ამ რამდენიმე ხნის წინად ვარშავს ეწვია მოსკოვის გამოჩენილი არტისტი ქალი ფედოტოვისა რუსული დასით. ეს მთელი რუსეთისაგან თაყვანცემილი არტისტი არაფრად ჩაუგდიათ ვარშავში და იმის წარმოდგენაზედ ძალიან ნაკლებად ესწრებოდა საზოგადოება. ამ ამბის შესახებ მოსკოვის ვედომოსტები აი რას იწერებიან:

„ჩვენი მართებლობა (რუსეთი) ყოველ წელიწადს 60,000 მან. სუბსიდიას აძლევს ვარშავის თეატრს და ფულებით იქაური დირექცია სულ პოლშურ თეატრს და არტისტებს ახარჯებს.

პოლშური თეატრი იმდენად გაძლიერებულია ვარშავაში და ისე ეტანება ხალხი, მარტო პოლშელები-კი არა, არამედ რუსებიც, რომ სრულებით საჭირო არ არის ამისათვის სუბსიდია. ჩვენის აზრით, დიდს შეცდომაში შევდივართ, ჩვენ ფულებს რომ ვხარჯავთ ჩვენივე რუსების გასაპოლშელებლად. რუსები ვარშავაში დადიან პოლშურ თეატრებში და გაიძახიან, რომ სრულებით მოუხერხებელია აქ რუსული თეატრიო, რადგან პოლშელ არტისტებზედ უკეთ ვერ ითამაშებენ და არც იმისთანა განვითარებული რეპერტუარი გვაქვს ჩვენაო, როგორც პოლშელებსაო. რუსები დადიან ყოველ პოლშელთა შეკრებილებაში, მოსწონთ მათი ზნე, ჩვეულებანი, მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკი—ასე რომ იმის მაგიერ, რომ ჩვენ პოლშელნი გავარუსოთ, რუსები პოლშელებად შევიქენით.

ზევით მოხსენებული სუბსიდია სწორედ იმ აზრით იყო დანიშნული, რომ ვარშავაში რუსულ თეატრს ფეხი მოედგა და ახლა რას ვხედავთ ჩვენ? ეს ფულები სრულებით წინააღმდეგ ამ აზრისა იხარჯება და თუ რომელიმე რუსული დასი მივიდა ვარშავაში რამოდენიმე წარმოდგენის გასამართავად, დირექცია ჩვენგანვე დანიშნული და თვით რუსეთის დიდი იმპერიის მოხელეები, არა თუ რაიმე დახმარებას გაუწევს ამ მოგზაურ დასს, არამედ თეატრს ქირით აძლევს და რაც შეიძლება ხელს უშლის.

ყოველ-დამ ყოველ პოლონელ არტისტების წარმოდგენაზედ ხალხით სავსეა თეატრის დარბაზები და უმეტესი ნაწილი თუ, არა ნახევარი მაინც რუსობა არის. ჩვენის საუკეთესო არტისტი ქალის წარმოდგენებზედ-კი აქაური რუსობა სრულებით არ დადის. რასა ჰგავს ეს? სადამდის უნდა ვიყვნეთ ასე?

უბრალო პოლშელ კლოუნის წარმოდგენაზედ ხალხით გაივსება ხოლმე ცირკი და ჩვენმა გამოჩენილმა დუროვმა-კი თავისს თაგვების საკვებიც ვერ იშოვნა ვარშავაში.

ყოველ ამას თქვენ დაუმატეთ პოლშელ გაზეთების უცნაური მოქმედება: რუსების სახელს, ან მათ წარმოდგენას, ან თუ როდის არის, ან რომელ თეატრში—სრულებით არ ახსენებენ გაზეთში. ამ გვარად თუ პოლშელი არტისტები თამაშობენ, მაშინ ყოველდღე სხვა-დასხვა ცნობები, რეკლამები იბეჭდება ყველა გაზეთებში და ხალხიც, რასაკვირველია, იმათკენ გარბის!?

წერილის ავტორი შეძრწუნებულა ამ ამბებით, გულ-აკვნესებული ათავებს:

„დროა ყოველივე ამას ყურადღება მიეპყრას და ჩვენი დაცემული სახელი წამოვაყენოთ—მართალია პოლშელები ჩვენ არ შეგვირიგდებიან, არ ივლიან ჩვენს თეატრში და მათ ყოველთვის ეყოლება საუკეთესო არტისტები, მაგრამ ჩვენც უნდა ჩვენი თეატრი—მუდმივი, უნდა დავაარსოთ ვარშავაში და ის სუბსიდიაც ჩვენს თეატრზედ უნდა დავხარჯოთ. პოლონელთ შეიძლება რომელიმე თეატრის დარბაზი დავუთმოთ და თითონ განაგონ თავიანთი საქმე—ჩვენმა დირექციამ-კი რუსულ თეატრს მოუაროს“.

---

რომ მთელს სიცოცხლეში მოგინდება სინანული!

ალმა. ვგრძნობ, როგორ არა ვგრძნობ...

რობერტ. (ორსავე ხელს თავში მოჰკიდებს). ჰო, ჰო, დაო, უცხო ქვეყნად მე შენის ბედნიერების ზრუნვაში ვიყავი... მთელს ათს წელიწადს ეს-და იყო ჩემი საფიქრებელი.,. ეხლა-კი ოცი წელიწადიც არა კმარა, რომ ეს უბედურება დავივიწყოთ.

ალმა. ოცის წლის შემდეგ ხომ დავბერდები კიდეც.

რობერტ. დავბერდებიო? რა არის მერე. სიჭაბუკე ჩვენ ორივესათვის აღარ არსებობს.

ალმა. ოჰ, ღმერთო!

რობერტ. (აღელვებული წამოხტება) ნუ გეშინიან, მე თავს არ დაგანებებ. სადმე სოროსა და ბუნაგში შევაფარებთ თავს, როგორც დევნილნი ნადირნი. მართლაც რომ ასეთები ვართ: გაგვათახსირეს, გვდევნიდნენ, გვაძევებდნენ, ასო-ასოთა გვგლეჯდნენ. (ალმა სახეს მეორე საგარძელში ჩაჰმალავს). აი, ხომ ჰხედავ, ეხლა-კი შეგვიძლიან ერთმანეთს დავეხმაროთ, მე—შენ და შენ—მე. (თავისთვის) როგორ იკლავს თავსა! ღმერთო, ეხლა-კი კარგად ვხედავ, როგორც უნდა მოვიქცე. ის მე ვეღარ დამიბრუნებს უმანკო ბავშვის სულს, მისგანვე მწიკვ-შეცხებულს, და სხვა რითი შეუძლიან აბა ჩემი დაკმაყოფილება. ალმა!

ალმა. (წამოიწევს) რა არის?

რობერტ. ძალიან გიყვარს?

ალმა. ვინა?

რობერტ. ვინა და ის.

ალმა. ჰო, ძალიან.

რობერტ. სულ რომ განშორდე, რა მოუვიდოდა... სრულიად დაიღუპებოდი?

ალმა. ო, არა!

რობერტ. აგრეა, აგრე, მართალს ამბობ. გულ-მტკიცედ იყავი... შენს თავს დავიწყება, გულიდგან ამოღება უნდა ასწავლო.... ჰო, უნდა ასწავლო... (დაჯდება) ყოვლის უპირველესად ისევ საქმეს უნდა მოჰკიდო ხელი. მაგ მღერა-გალობასა და ბაიათებს რომ თავი უნდა დაანებო, მაგას რაღა თქმა უნდა. კაბების კერვას ხომ სწავლობდი!.. მხოლოდ სამკერვალოში-კი აღარ შეხვიდე... იქ ცთუნების მეტი არა არის-რა და ცუდ მაგალითის მეტს ვერასა ჰნახავ.

ალმა. ჰო, მართალს ამბობ, მკერვალი ქალები ისეთი საძაგლები არიან, რომ..

რობერტი. არავის ძაგება და ქვის სროლა არ ვარგა, მეტადრე შენ არ შეგიძლიან. ჯერ მე თითონაც არ ვიცი, სად გადავსახლდებით. თუ ჩვენი მოხუცებიც დავიყოლიე, ყველას წაგასხამთ სადმე; ოღონდ აქაურობას-კი გავშორდეთ, და იქ შენ მხოლოდ მე მეკუთვნები... მე და საქმეს! დამიჯერე, რომ უკვე ბედნიერია ადამიანი, როდესაც საქმისასაგან, შრომისაგან დაღალულა. მოხუცები, რასაკვირველია, ჩვენთან იცხოვრებენ, შენ-კი უნდა დამეხმარო და ორივემ იმათთვის ვიზრუნოთ. კერვასთან ერთად ოჯახსაც მოუვლი. გაანებივრებ ჩვენს მშობლებს და მოთმინებით აიტან ყოველს იმათ ჭირვეულობასა და უხიაკობას... თანახმა ხარ?

ალმა. შენი ნებაა.

რობერტი. ჩემი-კი არა, შენი უნდა იყოს. შენვე უნდა დამთანხმდე... სიხარულით... მხოლოდ მაშინ აკურთხებს ჩვენს გზას უფალი. ერთხელ კიდევ გეკითხები, გსურს ასე თუ არა?

ალმა. ჰო, ხვალიდგან ყველაფრის თანახმა ვარ.

რობერტი. აი, ეგ მომწონს. მაგრამ ხვალიდგან რატომ და არა დღეიდგან?

ალმა. იმიტომ, რომ დღეს ჯერ კიდევ...

რობერტი. რაო? ჯერ კიდევ?

ალმა. ოჰ, ვერ ვიტყვი, თუ ღმერთი გწამს, ნუ მათქმევინებ...

რობერტი. (მეგობრულად) სთქვი, ნურაფრისა გერიდება.

ალმა. დღეს მინდა, ძალიან მინდა მასკარადში წავიდე. (ხანგრძლივი დუმილია. მუნჯი, კრინტ დაუძრელი სცენა. რობერტი წამოდგება და ოთახში დადის წინ და უკან. ალმაც წამოიწევს.) შეიძლება?

რობერტი. მოხუცებს დაუძახე.

ალმა. მაშ სჩანს არ შეიძლება? (წამოცრემლიანებული) ესეც-კი... უკანასკნელს დღეს ამ პაწია სიამოვნების ნებაც-კი არ უნდა ჰქონდეს ადამიანს.

რობერტი. გესმის-კი, რასაც ლაპარაკობ?!.. შენ...

ალმა. (ჟინიანად) ძალიან კარგად მესმის, რასაც ვლაპარაკობ. არც ისეთი სულელი ვარ და კარგადაც ვიცი, ხალხი როგორცა სცხოვრობს. არა, აგრე გულზედ ცეცხლს რას იკიდებ? სისულელე არ არის, რომ უარარაოდ, გულს-ხელ-დაკრეფილი იჯდეს ადამიანი... ამ ეზოში არც მზე და არც მთვარე არასოდეს არ შემოიხედავს ხოლმე... გარშემო გინებისა და ჭორის მეტს ვერას გაიგონებ... განათლებისა და მართებულის ცხოვრებისა არავის არა ესმისრა.. მამა იგინება, დედა ილანძღება და იწყევლება... თითები ნემსით უნდა დაიჩხვლიტო და დაისისხლიანო კერვის დროს და სულ-კი... სულ სამიოდე შაურს მოგცემენ და ისიც ნავთის ფულად არა კმარა. ახალგაზდა ვარ, ლამაზი... სიამოვნება მინდა, ჩაცმა-დახურვა... გულითა მსურს, რომ სხვა საზოგადოებაში ვიტრიალო... ყოველთვის კეთილშობილ საზოგადოებისაკენ მიმიწევდა გული. ჰო, ყოველთვის, წიგნებშიაც-კი ამისთანა საზოგადოების ამბების კითხვას უფრო ვეტანებოდი... ქმრის შერთვა-კი... არა, ვინ უნდა შევირთო?.. ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ვიღაცა ვიგინდარას, ქარხნის ჭუჭყიანსა და მტვრიანს ქარგალს გავყვე ცოლად. იმათ ჩხუბისა და ლოთობის მეტი არა იციან-რა. მე განათლებული ქმარი მინდა და თუ ამისთანას ვერ ვიშოვი, სულ არ არის საჭირო. კურტი ყოველთვის კარგად მეკიდებოდა. ცუდი სიტყვა ჩემთვის არასოდეს არ უსწავლებია და თუ ვიცი რამე, ისიც აქა მაქვს გაგონილი. მე თითონ მინდა გავეცალო აქაურობას... ესეც არ იყოს, შენი მფარველობაც არაფრად მეკნაჭება... ჩემისთანანი არასოდეს არა უბედურდებიან...

რობერტი. (მივარდება, მაგრამ ისევ ჩქარა შეიმაგრებს თავს) მოხუცებს დაუძახე.

ალმა. ეხლა მამასა ვკითხავ, იქნება იმან... (რობერტი მუქარით მაიწევს) კარგია, მივდივარ, მივდივარ. (გადის).

რობერტი. მაშ აი როგორია!.. ოჰ, რა გულ-ჩვილი სულელი ვარ. მეც იმედი მქონდა, კეთილისა და გონიერის სიტყვით ამ გუ...-გაქვავებულთა შორის გამეწყო რამე. არა, აქ ცთუნება, მოტყუება-კი არ არის, სისხლშივე გვქონია ეს მანკი. ეხლა სასტიკს, მკაცრს საშუალებას მივყობ ხელს. სულ ერთია... სხვა გზა ხსნისა აღარა არის-რა.

ა. ახნაზაროვი

(შემდეგი იქნება)

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** საფრანგეთს მეტად დიდი ვალი აწევს: სულ 31 მილიარდი ფრანკი, რომლიდგანაც 18 მილიარდი 1871 წლის შემდეგ არის ნასესხები. უკანასკნელ წლებში გასავალი აღემატება ხოლმე შემოსავალს. 1892 წელს დეფიციტი ათ მილიონ ფრანკამდე ავიდა, ხოლო 1893 წელს 85 მილიონზედ მეტი იყო. მიუხედავად ამისა საფრანგეთის კრედიტი სრულიად არ ბრკოლდება, რადგანაც საფრანგეთი უმდიდრესი ქვეყანა არის.

ამ დღეებში ბარონ როტშილდი ასცდა ერთ განსაცდელს და კინაღამ მისი მოურავი იოდკოვიჩი არ შეიქმნა მსხვერპლი მისდამი მიმართულ მტრობისა. საქმე ესე იყო:

პარისის ქალაქის ფოსტით როტშილდის სახელობაზედ მოვიდა წერილი. როტშილდი ამ დროს საზღვარგარეთ იყო წასული. წერილი მისმა მოურავმა იოდკოვიჩმა გახსნა. როდესაც ის წერილსა ხსნიდა, უცებ აფეთქდა წერილში რაღაც ნივთიერება და მოურავი ყვირილით სავარძელზედ დაეცა. ძლიერ დაეწვა ორი თითი მარჯვენა ხელზედ და მარცხენაზედ სამი. დაეწვა აგრეთვე ორივე ლოყა. ძლიერ დაუზიანდა მარჯვენა თვალი. უკანასკნელ ცნობებიდგან სჩანს, რომ თვალის მორჩენა შეიძლება, ხოლო წამლობა დიდხანს გაგრძელდებაო.

ალფონს როტშილდი შარშან ნადირობის დროს გამოესალმა ერთს თვალს, ეხლა შემთხვევით გადარჩა, თორემ მეორე თვალსაც გამოესალმებოდა.

იმის შესახებ, თუ ვინ და რა მიზეზით გაგზავნა ეს წერილი როტშილდთან, აქნობამდის ვერ გაუგიათ. ზოგნი ჰგონებენ ეს ანარხისტების საქმეაო. მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ წერილი გაგზავნა ვინმე სამსახურიდგან დათხოვნილმა იმ მრავალ დაწესებულებიდგან, რომელნიც ეკუთვნიან ალფონს როტშილდს.

ამბობენ, რომ ეს ერთი ჩრდილოეთის რკინის გზაზედ მოსამსახურეთაგანიაო.

ამგვარის წერილების გაგზავნა ახალი ამბავი არ არის; წინადაც ბევრჯელ მომხდარა. ამისთანავე კონვერტი გაუგზავნეს კონსტანს, ეჯიდეს და ექიმ ტრეილიუსს ამგვარადვე უნდოდათ მოეკლათ გერმანიის იმპერატორი.

—◆◆—

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ამას წინად ბერნის საექიმო საზოგადოებას შემდეგი დადგენილება მოუხდენია: „შუათანა ანგარიშით შვეიცარიაში ყოველს წელს 650 კაცი იკლავს თავს; ეს მეტის-მეტად ბევრია; მხოლოდ საქსონიასა და დანიაშია მეტი თავის-მკვლელთა რიცხვი. შემჩნეულია, რომ დიდს ქალაქებში თავისკვლა ძლიერ ხშირია და გადამდებ ავადმყოფობასავით ვრცელდება ხოლმე; ამ შემთხვევაში საკმარისია ერთმა ვინმემ დაანახვოს მაგალითი და მრავალი წამბაძველი მაშინვე გამოჩნდება. ამის გამო სასურველია —გაზეთებმა სრულიად აღარ ჰბეჭდონ თავის-მოკვლის ამბები“.

„ნოვ. ვრემ“, გაიხსენებს-რა ამ დადგენილებას, ამბობს, რომ მართალია მაგალითს აქვს დიდი მნიშვნელობაო, მაგრამ მარტო გაზეთების დამნაშავედ აღიარება ყოვლად შეუძლებელიაო. სტატისტიკას არ უთქვამს ჯერ ისე გადაჭრილათ, როგორც ბერნის ექიმებს, რომ გაზეთების კითხვის ბრალი იყოს—თავისკვლაო.

„რუსეთში ერთ მილიონ სულზედ თავს იკლავს 30 კაცი, მაშინ როდესაც საქსონიაში მილიონზედ 311, შვეიცარიაში—306 და საფრანგეთში—240. შესაძლებელია განა რომ ასეთი დიდი განსხვავება თავისმკვლელთა რიცხვებს შუა აიხსნას გაზეთების კითხვის გავლენით? რასაკვირველია არა. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ თუნდ ინგლისი. ინგლისში ერთ მილიონ მცხოვრებზედ 80 თავისმკვლელი მოდის, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში ძალიან გავრცელებულია გაზეთების კითხვა. თავისმკვლელობის მიზეზი უფრო ღრმა და რთულია, რასაკვირველია“.

თავისმკვლელობა დღევანდელ ცივილიზაციის ბრალიაო, ხსნის „ნოვ. ვრ“. ველურებში ძლიერ ძვირია თავისკვლა, ცხოველებში სრულიად არ არისო, მხოლოდ კულტურულს ქვეყანაში იკვლენ თავსაო. ეს არც გასაკვირველი არისო, რადგანაც, რაც უფრო მაღალი ცივილიზაცია არის, მით კაცს უფრო მეტი მოთხოვნილება აქვსო; რაც უფრო ნაკლებად აქვს მას საშუალება ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მით უფრო იტანჯება და აი აქ სძევს მკვლელობის მიზეზიო. რაღა საკვირველია, რომ რაც უფრო მაღლა სდგას კულტურა, მით მეტია თავის კვლაცო, თუ, რასაკვირველია, კულტურის ზრდასთან ერთად კაცის ზნეობრივი მხარეც არ ვითარდება და არ იზრდებაო.

„რაც შეეხება გაზეთებს, ამ მხრით ძლიერ მავნებელად უნდა ჩაითვალოს ის ფელეტონები, რომლებშიაც ლამაზად და საინტერესოდ ასწერენ ხოლმე თავისმკვლელობის ამბავს; მოგვითხრობენ თავისმკვლელთა ბიოგრაფიას, მათ ტანჯვას, უბედურს სიყვარულს და სხვა... ამგვარ ამბების კითხვა უთუოდ ცუდად მოქმედებს ავადმყოფ და სულით დავრდომილს ადამიანზედ და თავისკვლასაც განაზრახვინებს. ამიტომ არ იქნება ცუდი, გაზეთებმა სრულიად დაანებონ თავი და აღარ სტამბონ თავისმკვლელობის ამბავი“.

თავისმკვლელობის მიზეზი, რომელსაც „ნოვ. ვრ“. ასახელებს, ჩვენის ფიქრით არ არის სრული. აქ ცივილიზაცია და კულტურა არაფერს შუაშია და დამნაშავეა ცივილიზაციის მიმართულება. „ნოვ. ვრ“. გაკვრით იხსენიებს ზნეობრივს განვითარებას, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ზნეობრივი განვითარებაც, სხვათა შორის, სხვა გარემოების განვითარებაზეა დამოკიდებული. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალება რომ უფრო თანასწორად იყოს განაწილებული, თავისმკვლელობაც აღარ იქნებოდა ასე გავრცელებული და ზნეობრივი განვითარებაც გაადვილდებოდა...

—◆◆—

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბ. რედაქტორო! დღეს მივიღე თქვენგან გამოგზავნილი ჩემს სახელზედ 34 მანეთი და გეშურები შეგატყობინოთ და მასთანვე უდიდესი მადლობა მოგახსენოთ თქვენც და იმ პირთაც, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ ფულის გამოგზავნაში. ამას გარდა ნება მიბოძეთ მადლობა გადავუხადო ქართულ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტს, რომელმაც წარსულ თვეში გამომიგზავნა 50 მან; კაკაბის ქართულ საზოგადოებას, რომლისაგანაც მივიღე ივლისში 33 მანეთი და ქ. ო. კოღიევისას, რომელმაც გამომიგზავნა 23 მან. ღმერთსა ვსთხოვ, რომ მალე მომეცეს შემთხვევა ჩემას სამსახურით გადავუხადო ჩემი ზნეობრივი მოვალეობა ჩვენ ქართულ საზოგადოებას, რომელმაც ასეთი გულ-მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩემს ავადმყოფობაში.

ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

—◆◆—

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 აგვისტო.

**პარისი.** სერბიის მეფე და მისი მასწავლებელი, რომელიც მას ცურვას ასწავლიდა, ბანაობის დროს, ბიარიცში ზღვის ტალღამ მოიტაცა; მეფე გადარჩა, ხოლო მასწავლებელი დაირჩო.

**რუშჩუკი.** კობურგის პრინცესსა თავისის ძითურთ ბულგარიაში დაბრუნდა.

**ნიუ-იორკი.** ჩინეთიდამ იუწყებიან, რომ მთავრობას ზოკიანში წაუქეზებია მკვიდრნი თავს დასხმოდნენ ქრისტიანთა მისიონერებს. ხალხის ბრბოს დაუნგრევია ქრისტიანთა სადგომები და ოთხი ქრისტიანი დაუჭრია.

22 აგვისტო.

**პეტერბურღი.** „ნოვოსტებს“ ატყობინებენ, რომ სერესის მონასტრის მახლობლად მაკედონიაში აჯანყებულთა გუნდნი გამოჩნდნენ; პატარა ტირნოვში აჯაყებულებმა დინამიტით დაანგრიეს სასახლე და კაზარმა.

**ბერლინი.** პოლიციამ აღკრძალა ყოველგან სოციალისტთა კრება, რომელთაც უნდოდათ გამოეცხადებინათ პროტესტი სედანის დაპყრობის დღესასწაულის გამო.

—◆◆—

## განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი **ა. ი. ხოროკინ შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ?ავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპ... აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)



ქართულის წიგნების გამოცემაზე.

ამ წლის შემოდგომიდგან ვიწყებთ ჩვენ ქართულის საყმაწვილო და სახალხო წიგნების გამოცემას. ჩვენი მიზანია —მივაწოდოთ ქართველ საზოგადოებას და მოზარდ თაობას იაფი და ადვილ-გასაგები ენით დაწერილი უკეთესი თხზულებანი ყველა საგნიდან და მეცნიერებიდან. წიგნები იქნება უხვად დასურათებული და უკეთეს ქაღალდზედ დაბეჭდილი, თვეში გამოვა არა ნაკლებ თითო წიგნისა და ზოგჯერ ორ-ორიც. იმედი გვაქვს, რომ ქართველი საზოგადოება ხელს მოგვიმართავს ამ ახალ საქმეში და შეგვაძლებინებს კეთილად დავაგვირგვინოთ იგი.

ფასი გამოცემისა და თვითონ წიგნების სახელები გამოცხადებული იქნება თავის დროზე.

ავტორების საყურადღებოთ. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ჩვენმიერ დაწყებულ საქმეში, ვთხოვთ მოგვაწოდონ ხელ-ნაწერები ცალკე წიგნებათ გამოსაცემათ ხელ-ნაწერები უნდა იყოს: პატარებისათვის—არა უმეტეს 2—6 ჩვეულებრივი თაბახისა და ისე დაწერილი, რომ შეიძლებოდეს აღწერილის დასურათება, და დიდებისთვის—არა უმეტეს 7—8 თაბახისა. ყველა ავტორი მიიღებს ჩვენგან 2—3 კაპეიკსა ყოველ დაბეჭდილ სტრიქონში. თუ საჭირო იქნება, ხელ-ნაწერს შევასწორებთ და შევამოკლებთ. ვისაც ჰსურს, შეუძლია დაგვეკითხოს, თუ რა წიგნი შეადგინოს ანუ გადათარგმნოს. თუ არ მოეპოვება რომელიმე წიგნი, შეუძლია ჩვენგან დაიბაროს. ეს წიგნები მთხოვნელს გაეგზავნება ფასდადებულ ამანათით. პასუხისთვის ვთხოვთ გამოგზავნონ 7 კაპეიკიანი მარკა.

ჩვენი ადრესი: Въ г. Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомову.

ი. როსტომაშვილი.



ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ი ს ყ ი დ ე ბ ა

**თამარ მეფისა და შოთა რუსთველის** სურათებიანი ფოსტის ქაღალდები.

ფასი თითო ექვსეულისა 15 კაპ.



დ ა მ ზ ღ ვ ე ვ ი  ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

# „ИАКОРИ“ „იაკორი“

(ღ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და ვიქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის ?ადვილოდ დაზღ ევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სა... ი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)


Дозволено цензурою, Тифлисъ 22-го Августа 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.